

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის 23 ივლისის სხდომის

### ოქმი #7

2020 წლის 23 ივლისს შედგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა. სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, პროგრამა ZOOM-ის გამოყენებით.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 39 წევრი, სხდომას ესწრებოდა 30.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

#### დღის წესრიგი:

1. საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ;
2. პროგრამული კომიტეტების შესახებ;
3. ხელახალ აკრედიტაციაზე პროგრამების გაგზავნის შესახებ;
4. მიმდინარე საკითხები.

1. **მოისმინეს:** დღის წესრიგის პირველი საკითხი - საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ. ცვლილებების პაკეტი წინასწარ ჰქონდათ დაგზავნილი ფაკულტეტის საბჭოს წევრებს. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ საბჭოს წევრებს წარუდგინა ცვლილებები მიმდინარე პროგრამებში (რომლებიც იმუშავენ მომდევნო სემესტრში): გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის საბაკალავრო და ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამებში; სამაგისტრო პროგრამაში „გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარება“; კომპიუტერილი მეცნიერების ქართულენოვან და ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამებში; სამაგისტრო პროგრამებში „ინფორმაციული ტექნოლოგიები“, „ქიმია“, „ქიმიური ექსპერტიზა“, „გამოყენებითი ფიზიკა“ და „ფუნდამენტური ფიზიკა“, „ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია“, ასევე სადოქტორო პროგრამაში „ფიზიკა“ (იხ. დანართები 1)

**აზრი გამოთქვას:** ნანა შათაშვილმა. მან ისაუბრა მოზიზებებსა და მოტივაციაზე, რამაც განაპირობა ცვლილებები ფიზიკის პროგრამებში. აღნიშნული ცვლილებებით მოხდა პროგრამის ოპტიმიზაცია. თავიანთ პროგრამებში ცვლილებების შესახებ ისაუბრეს აგრეთვე პროფესორებმა გიორგი ღვედაშვილმა, ბეჟან თუთბერიძემ, მანანა ხაჩიძემ, გაია სირბილაძემ. აზრი გამოთქვას ნანა დორეულმა, თინა დავითაშვილმა და დავით კაკულიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილ ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამებში (იხ. დანართები 1).

**კენჭისყრის შედეგები:** ცვლილებები ერთხმად დამტკიცდა.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილებები შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებში: გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის საბაკალავრო და ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამებში; სამაგისტრო პროგრამაში „გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარება“; კომპიუტერილი მეცნიერების ქართულენოვან და ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამებში; სამაგისტრო პროგრამებში „ინფორმაციული ტექნოლოგიები“, „ქიმია“, „ქიმიური ექსპერტიზა“, „გამოყენებითი ფიზიკა“ და „ფუნდამენტური ფიზიკა“, „ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია“, ასევე სადოქტორო პროგრამაში „ფიზიკა“ (იხ. დანართები 1).

**2. მოისმინეს:** დღის წესრიგის მეორე საკითხი - პროგრამული კომიტეტების შესახებ. კომიტეტების შემადგენლობები წინასწარ დაეგზავნათ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ. მან საბჭოს წევრებს გააცნო ცვლილებები გეოლოგიის, მათემატიკის და ფიზიკის დეპარტამენტების საგანმანათლებლო პროგრამების პროგრამული კომიტეტების შემადგენლობაში (იხ. დანართები 2).

**აზრი გამოთქვეს:** პროფესორებმა ბეჟან თუთბერიძემ და ნანა შათაშვილმა. მათ ისაუბრეს, თუ რამ განაპირობა ცვლილებები პროგრამულ კომიტეტებში. საბჭოს სტუმარმა ასოცირებულმა პროფესორმა გია გიორგაძემ აღნიშნა, რომ მათემატიკის პროგრამების კომიტეტის სხდომა ჩატარდა ერთი კვირის წინ, სადაც მონაწილეობდნენ წევრები კომიტეტის ძველი შემადგენლობიდან. იგი დაინტერესდა, რატომ შეიცვალა შემადგენლობა, რაზეც დეპარტამენტის თავმჯდომარემ, პროფესორმა ომარ ფურთუხიამ უპასუხა, რომ მოხდა ჩვეულებრივი როტაცია და ორი სტუდენტის ჩანაცვლება ახალი სტუდენტებით. აზრი გამოთქვეს პროფესორებმა დიანა ძიმიგურმა, ბეჟან თუთბერიძემ, ნანა შათაშვილმა, ასევე მათემატიკის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა, რომლებიც საბჭოს წევრები არიან.

საბჭოს თავმჯდომარემ ცალცალკე უყარა კენჭი წარმოდგენილი პროგრამული კომიტეტების დამტკიცების საკითხს.

**კენჭისყრის შედეგები:** ფიზიკის და გეოლოგიის დეპარტამენტების საგანმანათლებლო პროგრამების პროგრამული კომიტეტების შემადგენლობა ერთხმად დამტკიცდა; მათემატიკის დეპარტამენტების საგანმანათლებლო პროგრამების პროგრამული კომიტეტის შემადგენლობა: მომხრე - 25, თავი შეიკავა - 5, წინააღმდეგი - 0.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს გეოლოგიის, მათემატიკის და ფიზიკის დეპარტამენტების საგანმანათლებლო პროგრამების პროგრამული კომიტეტების წარმოდგენილი შემადგენლობები (იხ. დანართები 2).

**3. მოისმინეს:** დღის წესრიგის მესამე საკითხი - ხელახალ აკრედიტაციაზე პროგრამების გაგზავნის შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ. მან აღნიშნა, რომ ხელახალ აკრედიტაციაზე წარდგენილია შემდეგი პროგრამები (იხ. დანართები 3):

1. სამაგისტრო პროგრამა ინფორმაციული ტექნოლოგიები;
2. სამაგისტრო პროგრამა ინფორმაციული სისტემები;
3. სადოქტორო პროგრამა კომპიუტერული მეცნიერება;
4. სადოქტორო პროგრამა ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია;
5. სამაგისტრო პროგრამა ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია;
6. სამაგისტრო პროგრამა კომპიუტერული მეცნიერება.

**აზრი გამოთქვას:** პროფესორმა მ.ხაჩიძემ, მან მოკლედ დაახასიათა კომპიუტერული მეცნიერების დეპარტამენტის სააკრედიტაციოდ მომზადებული გადახალისებული პროგრამები. ამავე პროგრამების სიახლეების შესახებ ისაუბრეს აგრეთვე პროფესორებმა ა.გამყრელიძემ და გ.სირბილაძემ. ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის პროგრამები დაახასიათა პროფესორმა გ.ღვედაშვილმა.

დასასრულ, პროფ.გ.ღვედაშვილმა და პროფ.გ.სირბილაძემ მადლობა გადაუხადეს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ქალბატონ თამარ ჭელიძეს ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს ხელახალ აკრედიტაციაზე წარმოდგენილი ექვსი პროგრამის გაგზავნის შესახებ.

**კენჭისყრის შედეგები:** ერთხმად დამტკიცდა.

**დაადგინეს:** მოხდეს ხელახალ აკრედიტაციაზე შემდეგი პროგრამების წარდგენა (იხ. დანართები 3):

1. სამაგისტრო პროგრამა ინფორმაციული ტექნოლოგიები;
2. სამაგისტრო პროგრამა ინფორმაციული სისტემები;
3. სადოქტორო პროგრამა კომპიუტერული მეცნიერება;
4. სადოქტორო პროგრამა ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია;
5. სამაგისტრო პროგრამა ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია;
6. სამაგისტრო პროგრამა კომპიუტერული მეცნიერება.

**4. მოისმინეს:** დღის წესრიგის მეოთხე - მიმდინარე საკითხები. ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ საბჭოს წევრებს გააცნო ბიოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ სალომე კიპაროიძის და მათემატიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ქეთევან გომიაშვილის დისერტაციების სათაურისა და ხელმძღვანელის ცვლილებები. ბატონმა ვაჟამ საბჭოს წევრებს გააცნო აგრეთვე ცვლილებები ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტის შორენა გოგოლაძის, ქიმიური ექსპერტიზის სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტების ანა ბარდაველიძის, გვანცა შეყლაშვილის და ანა ჩოხელის თემის სათაურებში (იხ. დანართები 4).

**აზრი გამოთქვა:** პროფესორებმა გ.სირბილაძემ, ო.ფურთუხიამ, ნ.შათაშვილმა. თემის სათაურთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა პროფესორმა თ.თადუმაძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილი ცვლილებების დამტკიცების საკითხს.


**დაადგინეს:**

- 1) შევიდეს ცვლილება ბიოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ სალომე კიპაროიძის დისერტაციის სათაურში და ნაცვლად „ თანხვედრი პათოლოგიის დროს ღვიძლის სტრუქტურული და ფუნქციური თავისებურებების შედარებითი შესწავლა“ დამტკიცდეს „ ქოლესტაზის პირობებში ზრდასრული ვირთაგვას ჰეპატოციტების პოლიპლოიდიზაცია და ღვიძლის ადაპტაციური ზრდის თავისებურებები“ ხელმძღვანელი პროფ. დიანა მიძიგური;
- 2) შევიდეს ცვლილება მათემატიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ქეთევან გომიაშვილის დისერტაციის სათაურში და ნაცვლად „ჩარნიობუხოვისა და ჰასაგევა-მიმას განტოლებებისათვის მიახლოებითი ამოხსნის სქემების აგება და გამოკვლევა“ (ხელმძღვანელი ასოც.პროფ. ჯემალ როგავა) დამტკიცდეს „დრეკადობის წრფივი

თეორიის ცვლადკოეფიციენტებიან დინამიკურ განტოლებათა სისტემისათვის საწყის-სასაზღვრო ამოცანის მიახლოებითი ამოხსნის სქემების აგება, გამოკვლევა და რიცხვითი რეალიზაცია“. ასევე მეორე ხელმძღვანელად დაემატოს ასოც.პროფ. გია ავალიშვილი.

- 3) შევიდეს ცვლილება ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტის შორენა გოგოლაძის, ქიმიური ექსპერტიზის სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტების ანა ბარდაველიძის, გვანცა შეყლაშვილის და ანა ჩოხელის თემის სათაურებში დანართის შესაბამისად(იხ. დანართები 4).

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,  
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი



ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,  
ასისტენტ პროფესორი თინათინ დავითაშვილი

თ. დავითაშვილი